დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ქ.დმანისი

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

N 58 08
04/09/2020

დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სააგიტაციო მასალის განთავსების აკრძალვისა და
სააგიტაციო მასალის გასაკრავად/გამოსაფენად შესაბამის ადგილების განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2-ე პუნქტისა და საქართველოს ,,საარჩევნო კოდექსის" 46-ე მუხლის შესაბამისად, დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. 2020 წლის პარლამენტის მორიგ არჩევნებთან დაკავშირებით სააგიტაციო მასალის (სააგიტაციო მასალა – პლაკატი, დროშა და ნებისმიერი სხვა მასალა, რომლებზედაც გამოსახულია საარჩევნო სუბიექტი/საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატი ან/და მისი არჩევნებში მონაწილეობის რიგითი ნომერი) გასაკრავად/გამოსაფენად დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გამოიყოს ნებადართული ადგილები თანახმად დანართი N1-სა (დანართი თან ერთვის)
2. განისაზღვროს იმ შენობა-ნაგებობების ნუსხა, სადაც დაუშვებელია (აკრძალულია) სააგიტაციო მასალის გაკვრა/ გამოფენა თანახმად დანართი N2-სა. (დანართი თან ერთვის)
3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბოლნისის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (ქ.ბოლნისი სულხან საბას ქ. N113).

მერაბ ოქრიაშვილი

საკრებულოს თავმჯდომარე

დანართი N1

დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ნებადართული ადგილები, სადაც შესაძლებელი საარჩევნო მასალის გაკვრა/ გამოფენა:

1. საცხოვრებელი ბინების (კორპუსების) ფასადები;
2. კერძო საკუთრებაში არსებული შენობების ფასადები (მათ შორის საცხოვრებელი, მესაკუთრესთან ან მფლობელებთან შეთანხმებით);
3. მაღაზიის შენობების ფასადები (მესაკუთრეებთან ან მფლობელებთან შეთანხმებით);
4. დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სააგიტაციო მასალა (პლაკატი) შეიძლება განთავსდეს სპეციალურ სტენდებზე, სტენდებზე თითოეულ საარჩევნო სუბიექტს უფლება აქვს გააკრას არაუმეტეს 1 (ერთი) ცალი საარჩევნო პლაკატი ზომით არაუმეტეს სიგრძე 60 სმ. სიგანე 42 სმ (A2 ფორმატი).

დანართი N2

დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გამოყოფილი ადგილების ნუხსა, სადაც აკრძალულია სააგიტაციო მასალის განთავსება/გაკვრა:

1. ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციული შენობის ინტერიერსა და ექსტერიერში.
2. სასამართლოს შენობის ინტერიერსა და ექსტერიერში.
3. სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის შენობის ინტერიერსა და ექსტერიერში.
4. სახანძრო-სამაშველო სამსახურის შენობის ინტერიერსა და ექსტერიერში.
5. დმანისის მუნიციპალიტეტის ყოფილი სასოფლო საკრებულოების შენობების ინტერიერსა და ექსტერიერში.
6. დმანისის პოლიციის შენობის ინტერიერსა და ექსტერიერში.
7. საჯარო სკოლების ინტერიერსა და ექსტერიერში.
8. საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების შენობების ინტერიერსა და ექსტერიერში.
9. დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საგზაო ნიშნები.
10. საკულტო ნაგებობებზე, კულტურული მემკვიდრეობის შენობა-ნაგებობებზე.
11. ხე-მცენარეები.
12. ელექტრო გადამცემი და გარე განათების ბოძები.
13. საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერებებზე (მოსაცდელები)
14. საბავშვო ბაღების შენობა-ნაგებობებზე და ღობეებზე.